# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
# აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო
# განკარგულება №44

აბაშა, 2019 წლის 25 ივლისი

## აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმა დანართის შესაბამისად.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (გ.ხოშტარია), საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებს, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეებსა და აპარატის უფროსს (გ. ხურცილავა).
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი სენაკი. რუსთაველის ქ. №247).
4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი

დანართი

# აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმა

| № | განსახილველი საკითხის დასახელება | განხილვის დრო | სხდომაზე გამომტანი პასუხისმგებელი პირი (კომისია, ფრაქცია) |
|---|---|---|---|
| 1. | აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ანგარიში 2019 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ | ივლისი | კ. კუჭუხიძე |
| 2. | აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში 2019 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ | აგვისტო | გ. კუცია |
| 3. | აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში 2019 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ. | აგვისტო | კ. კუჭუხიძე |
| 4. | აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2019 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ | აგვისტო | გ. კუპრავა |
| 5. | აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ანგარიში 2019 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ | სექტემბერი | ტ. ხოშტარია |
| 6. | აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის ანგარიში 2019 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ | სექტემბერი | გ. კუცია<br>გ. მიგინეიშვილი |

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი